ს.ს.ი.ვ
„საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი“
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

10. 02. 2010 №13
(თბილისი)

/საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მიერ
გამოცემული დოკუმენტების ასლის დამოწმების
წესის განსაზღვრის შესახებ/

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 20-ე მუხლის საფუძველზე, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მიერ გამოცემული დოკუმენტების ასლის დამოწმების წესის განსაზღვრის მიზნით

ვბრძანებ

1. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი უფლებამოსილია დაამოწმოს მის მიერ გამოცემული ადმინისტრაციული აქტები, ბრძანებები და სხვა დოკუმენტების ასლები, თუ დედანისა და ასლის შინაარსი შეესაბამება ერთმანეთს;
2. უნივერსიტეტის მიერ ამ ბრძანების შესაბამისად დამოწმებული დოკუმენტის ასლებს აქვთ ოფიციალური ძალა და ადასტურებენ დედანთან იგივეობას;
3. დაუშვებულია იმ დოკუმენტის ასლის დამოწმება, რომლის შინაარსი შეცვლილია ან დარღვეულია მისი მთლიანობა;
4. დამოწმებულ ასლს/მის ყველა გვერდს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) უნდა დაესვას სამსახურებრივი ბეჭედი და ჰქონდეს უფლებამოსილი პირის ხელმოწერა. მასზე უნდა აღინიშნოს დამოწმების თარიღი, ასლის დედანთან შესაბამისობის დადასტურება სიტყვებით „ასლი დედანთან სწორია“.
5. ასლს ამოწმებს იმ სტრუქტურული ერთეულის (ფაკულტეტი, განყოფილება, დეპარტამენტი და ა.შ) ხელმძღვანელი თანამდებობის პირი, სადაც ინახება დედანი ან/და ინფორმაცია დოკუმენტის დედანის შესახებ.
6. ბრძანების გაცნობა დაინტერესებული პირებისათვის უზრუნველყოს კანცელარიამ.

რექტორი ა. ფრანგიშვილი

ვიზები:
რექტორის მოადგილე სასწავლო დარგში,
პროფესორი *ლ. კლიმიაშვილი*

კანცელარიის უფროსი ე. ოხანაშვილი

იურიდიული დეპარტამენტის
უფროსი *ბ. მაისურაძე*